ხმა გულისა

კორნელი კეკელიძე,
საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი.

როგორ ქართველს არ აუძგერდება გული, როდესაც ის დაინახავს ან წარმოიდგენს თბილისს? თბილისი სიმბოლოა მთელი საქართველოსი, აკვანი მისი მდიდარი და შინაარსიანი წარსულისა.

თუ ასეთი იყო თბილისი ჩვენს წარსულში, დღეს, საბჭოთა ცხოვრების პირობებში, მისი წონა უფრო დიდი და მნიშვნელოვანია. ახლადეთ მისი ქარხანა-ფაბრიკების ცაში ატყორცნილ ღუმელებს; შეიხედეთ თბილისის სასწავლებლებისა და კულტურული დაწესებულებების კედლებში, თვალი გადაავლეთ უმაღლესი სასწავლებლების ქსელს, პირველ რიგში ჩვენს სახელოვან უნივერსიტეტს, შეხედეთ ცოდნისა და მეცნიერების შტაბს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, სადაც იწრთობა და მწიფდება ქართული მეცნიერული აზრი, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო მეცნიერების სალაროში. შეაჯამეთ ყველაფერი ეს, და ჩვენ საბუთი გვექნება ვთქვათ, რომ თბილისი ქართველი ერის სული და გულია.

* * *

დ. გულია,
აფხაზეთის სახალხო
პოეტი.

თბილისის ისტორიული ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული კავკასიის ხალხთა ბედთან. საუკუნეების მანძილზე თბილისი იყო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ქართველი და სხვა ხალხების ბრძოლის ბურჯი. ამიტომაც თბილისის 1500 წლის იუბილეს როგორც სასიხარულო დღესასწაულს ქართველ ხალხთან ერთად აღნიშნავს საქართველოს განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის ყველა მშრომელი.

ჩემი ნაწარმოებების პირველი კრებული 1912 წელს თბილისში გამოიცა. ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგაც თბილისში ხშირად მიხდებოდა ყოფნა ჩემი წიგნების, აგრეთვე თარგმანების გამოცემის საკითხებზე. თბილისში გამოიცა ჩემი წიგნი „აფხაზეთის ისტორია“. თბილისში ჩემმა მუშაობამ დამამეგობრა საქართველოს ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორიც იყვნენ ივანე და მიხეილ ჯავახიშვილები, ტიციან ტაბიძე და სხვ. აგრეთვე მთელ რიგ სხვა მწერლებთან და მეცნიერებთან, რომლებიც დღეს თბილისში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ამის გამო მე თბილისი მიმაჩნია ჩემთვის მახლობელ, მშობლიურ ქალაქად და ყოველთვის სიამოვნებით მახსენდება, თუ როგორი იყო თბილისი რევოლუციამდე და როგორ იცვალა მან სახე, როგორ გაიზარდა რევოლუციის შემდეგ. მახარებს მისი ყოველდღიური მიღწევები, მიღწევები ქალაქისა, რომელიც ძმობისა და მეგობრობის განსახიერებაა. ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია ის დღეები, როცა ხუთი წლის წინათ საბჭოთა კავშირის ერთერთ ულამაზეს ქალაქში თბილისში გადამიხადეს დაბადების 80 წლის იუბილე.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მსურს მივულოცო ჩვენს დედაქალაქს სახელოვანი წლისთავი და შემდგომი აყვავება ვუსურვო.

* * *

ლადო გუდიაშვილი,
საქართველოს სახალხო
მხატვარი.

ვფიქრობ თბილისზე, ვუმზერ თბილისს, და გულში ქართული ლექსი ხმიანდება: „შენს სურათს ხატვა რათ უნდა..“ არა, ხატვა როგორ არ უნდა თბილისს, მაგრამ საოცრად ძნელია დაიმორჩილო მისი ფერი, მთელი სიხრულით შეიგრძნო და გადმოსცე მისი მშვენიერება.

ათასხუთასი წლისთავზე ათასხუთასჯერ ვემთხვევი ჩემი თბილისის მრავალტანჯულ მიწას, დღეს ბედნიერსა და პირმცინარეს, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შეუნელებელი ზრუნვით გარემოსილს!

* * *

ანდრია ბალანჩივაძე,
კომპოზიტორი,
საქართველოს სახალხო
არტისტი.

თბილისი უმშვენიერესია, თბილისი ულამაზესია, თბილისი ლექსია და ხიმღერის ქალაქია და მას უმღერიან. მაგრამ ეს ძვირფასი ქალაქი თითონაც სიმღერასავით მიმზიდველია. პირადად ჩემთვის იგი გულშიჩამწვდომი მუსიკაა.

ჩემი სურვილი ერთია: სიმღერად დავწერო მშობლიური ქალაქის ეს უსაზღვრო სიხარული.

* * *

ი. გრიშაშვილი,
პოეტი-აკადემიკოსი.

თბილისი ჩემი გულის მურაზია. ჩემი პირველი სიმღერა თბილისს ეკუთვნის... მე მომსწრე ვარ ჩვენი დედაქალაქის ძველი დღეებისა და მზენათელი აწმყოსი, როცა თბილისმა სამგორშიც გაიდგა ფესვი და დიღმის მინდვრებზე გავიდა.

* * *

კ. ზავრიევი,
საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი.

მხურვალედ ვულოცავ საყვარელ თბილისს სახელოვან დღესასწაულს! თბილისი ჩემთვის მშობლიური ქალაქია.

ლამაზი შენობები, მშვენიერი მოედნები, ქუჩები, სანაპიროები, ხიდები, ძეგლები, უმშვენიერეს ბუნებასთან შერწყმულნი, ახარებენ მნახველის თვალს. დაე კიდევ უფრო ლამაზი და წარმტაცი იყოს ჩვენი უძველესი და მარად ახალგაზრდა დედაქალაქი!